

“საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში” ცვლილებისა და
დამატების შეტანის თაობაზე”

მუხლი 1. “საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში” (საქართველოს საკანონმდებლო
მაცნე, №8, 25.03.2004, მუხ. 38) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატება:

1. მე-17 მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3. კომიტეტი, დროებითი საგამოძიებო კომისია მის შემადგენლობაში შემავალი
პარლამენტის წევრისათვის ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული უფლების
მინიჭების შესახებ წინადადებას წარუდგენს პარლამენტის თავმჯდომარეს, გარდა ამ
რეგლამენტის 28-ე მუხლის მე-2.1 ნაწილით გათვალისწინებულ სამუშაო ჯგუფში
შემავალი პარლამენტის წევრებისა, რომლებსაც უფლება აქვთ, შევიდნენ
სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სპეციალური ნებართვისა და პარლამენტის
თავმჯდომარის წინაშე წარდგინების გარეშე.

2. 28-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2.1 ნაწილი:

2.1. ა) პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო
ინტეგრაციის კომიტეტში ამ რეგლამენტით დადგენილი წესით იქმნება სამუშაო ჯგუფი,
რომელიც შეისწავლის საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ სასჯელაღსრულების
დაწესებულებებში არსებულ მდგომარეობას.

ბ) სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შეიძლება იყოს მხოლოდ პარლამენტის
წევრი. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრება საპარლამენტო ფრაქციების
რაოდენობის პროპორციულად და როტაციული პრინციპით.

გ) სამუშაო ჯგუფის წევრთა უფლება-მოვალეობებსა და უფლებამოსილების
ვადებს განსაზღვრავს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის
კომიტეტი და დასამტკიცებლად წარუდგენს პარლამენტის ბიუროს.

მუხლი 2. ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

დავით ბაქრაძე